საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-10/32

ქ. ბათუმი 05 მარტი, 2019 წ

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლისა და ასისტენტის) შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

(ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 იანვრის N01-10/02 ბრძანებით)

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ,,ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 4 მარტის N01-02/29 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2019 წლის 04 მარტის N265175 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლისა და ასისტენტის) ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, ხუთი პროფესიული სსსმ სტუდენტისა და სამუშაო დღეებში არანაკლებ 4 საათიანი სამუშაო განრიგის შემთხვევაში, განისაზღვროს 300 ლარით. *(ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 იანვრის N01-10/02 ბრძანებით)*

2. სსსმ პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში იმავე ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლისა და ასისტენტის) ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვროს მათი შრომითი დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. *(ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 19 დეკემბრის N01-10/143 ბრძანებით), (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 იანვრის N01-10/02 ბრძანებით)*

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტსა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ა. მითაიშვილი**

მოამზადა

იურიდიული დეპარტამენტის მთ/სპეციალისტი მ. მამულაძე

პროფესიული პროგრამების მართვისა და
უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი მ. მიქელაძე

„შეთანხმებულია“

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ჟ. ჯიბლაძე

ადამიანური რესურსების
მართვის სამსახური მ. ბაგრატია

საფინანსო-ეკონომიკური
დეპარტამენტის უფროსი: გ. გვარიშვილი